

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი განსაზღვრავს სსიპ - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდში (შემდგომში - ფონდი) საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და გაცემის წესს.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნა

1. ფონდში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის უფლება აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს - ფიზიკურ და იურიდიული პირს და მისი მიღება უზრუნველყოფილია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

2. დაინტერესებული მხარის მიერ, საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესახებ განცხადების წარდგენა ხდება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელექტრონულ მისამართზე bavshvtafondi@gmail.com.

3. განცხადება საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის შესახებ უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) ფიზიკური პირის შემთხვევაში: განმცხადებლის სახელს, გვარს, საქართველოს მოქალაქის პირად ნომერს, მისამართს, ტელეფონის ნომერს;

გ) იურიდიული პირის შემთხვევაში: იურიდიული პირის დასახელებას, საიდენტიფიკაციო ნომერს, იურიდიულ მისამართს, ტელეფონის ნომერს, ხელმძღვანელის სახელსა და გვარს, ელექტრონულ ფოსტას;

დ) მოთხოვნილი ინფორმაციის ზუსტ დასახელებას;

ე) ინფორმაციის მიღების სასურველ ფორმას.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესის დარღვევით წარდგენილი განცხადება არ განიხილება, რის შესახებაც ეცნობება განმცხადებელს და მიეცემა ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

5. საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად ფორმით გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ელექტრონული მისამართი თავსდება ფონდის ვებ-გვერდზე (www.fondi.gov.ge).

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემა

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება ფონდის მიერ ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის რეგისტრაციის დადასტურებიდან, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის სარეგისტრაციო ნომრის მითითებით.

2. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის რეგისტრაციის დადასტურება უნდა მოხდეს, მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს.

3. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა, დაინტერესებული მხარის მიერ განცხადებაში მითითებული ინფორმაციის მიღების ფორმის მიხედვით - ელექტრონულ ფოსტის, კომპაკტურ დისკზე ჩაწერილი, მატერიალური სახით, თუ დედანში გაცნობის გზით.

4. თუ დაინტერესებული მხარის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, მისი მოცულობიდან გამომდინარე, შეუძლებელია გაგზავნილ იქნას ელექტრონულად, ფონდი ვალდებულია, აღნიშნულის შესახებ, აცნობოს მომთხოვნს და უფლებამოსილია, მომთხოვნის თანხმობის შემთხვევაში, ინფორმაციის გაცემა განახორციელოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მოსაკრებლის გადახდის წესით.

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი (შემდგომ - წესი) განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდში (შემდგომ - ფონდი) არსებული საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესსა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალს.
2. ეს წესი ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციაზე, რომელიც ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.
3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს ფონდს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

1. საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება ფონდის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.fondi.gov.ge. (შემდგომში - ვებგვერდი).
2. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და თანაბრად ხელმისაწვდომი ნებისმიერი პირისათვის. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებაზე საფასურის ან სხვა რაიმე შეზღუდვების დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
3. ფონდი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი.

4. საჯარო ინფორმაცია ვებგვერდზე უნდა განთავსდეს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციის ჩამოტვირთვა, ბეჭდვა და კოპირება ინფორმაციის დაკარგვის ან/და დაზიანების გარეშე.

5. ფონდი უფლებამოსილია, ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი (პირები)

1. ფონდის დირექტორი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს (პირებს).

2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სამსახურის სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებას, ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პერიოდულობის დაცვით.

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ინფორმაციის მიწოდების დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია შესაბამისი სტრუქტურული ერთეული, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მიწოდებას ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული პერიოდულობის გათვალისწინებით.

მუხლი 4. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია

N	ინფორმაციის დასახელება	განახლების ვადები	ინფორმაციის მომზადებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული
1. ზოგადი ინფორმაცია ფონდის შესახებ			
1.1.	ფონდის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	განახლება დია ცვლილების შემთხვევაში	იურისტი
1.2.	ფონდის და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება, შინაგანაწესი)	განახლება დია ცვლილების შემთხვევაში	იურისტი

1.3.	ფონდის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	ქვეყნდება ყოველწლიურად	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო
1.4.	ფონდის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	განახლებადია ცვლილებების შემთხვევაში	პროგრამებისა და ანალიტიკის სამმართველო
1.5.	ფონდის დირექტორისა და მოადგილეების შესახებ ინფორმაცია: - სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო
1.6.	ფონდის და მისი სტრუქტურული ერთეულების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო
2	2. საჯარო ინფორმაციის გვერდი		
2.1.	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო
2.2.	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტები	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	იურისტი
2.3.	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	იურისტი
2.4.	ფონდის მიერ საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტისა და პრემიერ-მინისტრისათვის	ქვეყნდება ყოველწლიურად	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო

	წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში		
2.5.	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად განცხადებების შესახებ ზოგადი სტატისტიკა	ქვეყნდება კვარტალურად	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო
3. ინფორმაცია ფონდის საკადრო უზრუნველყოფის შესახებ			
3.1.	ფონდში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველო
3.2.	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს ფონდში კონკურსის ჩატარების წესებს.	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	იურისტი
3.3.	ფონდში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში.	ქვეყნდება კვარტალურად	ადამიანური რესურსებისა და საქმისწარმოების სამმართველო
4. ინფორმაცია ფონდის მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ			
4.1.	სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა	ქვეყნდება კვარტალურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
4.2.	ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაცია მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტის, შესყიდვის საშუალების,	ქვეყნდება კვარტალურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო

	ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების მითითებით		
4.3.	ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ	ქვეყნდება კვარტალურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
4.4.	რეკლამის განთავსებაზე გაწეული ხარჯები	ქვეყნდება კვარტალურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5. ინფორმაცია ფონდის დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ			
5.1.	ფონდის დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტები	ქვეყნდება კვარტალურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.2.	ბიუჯეტის შესრულების შესახებ ინფორმაცია (ნაზარდი ჯამით)	ქვეყნდება კვარტალურად და ყოველწლიურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.3.	ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად)	ქვეყნდება კვარტალურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.4.	ინფორმაცია ოფიციალურ და სამუშაო ვიზიტებზე გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) (ცალკე-ცალკე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებების შესახებ)	ქვეყნდება კვარტალურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.5.	ფონდის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელების მითითებით	ქვეყნდება ყოველწლიურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.6.	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯების შესახებ	ქვეყნდება ყოველწლიურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.7.	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ	ქვეყნდება ყოველწლიურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო

	მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად		
5.8	ფონდის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ჩამონათვალი	ქვეყნდება ყოველწლიურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.9.	ინფორმაცია განხორციელებულ სატელეფონო საუბრებზე (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული სატელეკომუნიკაციო ხარჯების შესახებ ჯამურად	ქვეყნდება ყოველწლიურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.10.	უცხო სახელმწიფოთა მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სხვა დონის სახელმწიფო ერთეულების მიერ ფონდისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების (გრანტები, კრედიტები) შესახებ ინფორმაცია	ქვეყნდება ყოველწლიურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.11.	ინფორმაცია ფონდის მიერ გაცემული გრანტების შესახებ, მათ შორის, გრანტის მიმღები, მიზნობრიობა, გრანტის მოცულობა და გადარიცხული ოდენობა	ქვეყნდება ყოველწლიურად	პროექტებისა და ანალიტიკის სამმართველო
5.12.	ინფორმაცია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ	ქვეყნდება კვარტალურად	ფინანსური საქმიანობისა და შესყიდვების სამმართველო
5.13.	სამართლებრივი აქტები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან გამოყოფილი თანხების შესახებ	ქვეყნდება აქტის მიმღები ორგანოს მიერ ძალაში შესვლიდან 10 დღეში	იურისტი
6. სამართლებრივი აქტები			

6.1.	ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ფონდის საქმიანობასთან	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში	იურისტი
6.2.	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც ფონდის შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	ქვეყნდება ძალაში შესვლიდან 10 დღეში	იურისტი
7. სხვა საჯარო ინფორმაცია			
7.1.	ინფორმაცია ფონდის სერვისების შესახებ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო
7.2.	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინებაც ხდება ფონდის მიერ	განახლებადია ცვლილების შემთხვევაში	საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო

შენიშვნა:

1. წესის მიზნებისათვის „თანამდებობის პირი“ გულისხმობს ფონდის დირექტორსა და მის მოადგილეებს.
2. კვარტალურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია ქვეყნდება კვარტლის დასრულებიდან 1 თვის განმავლობაში, ხოლო ყოველწლიურად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია – წლის დასრულებიდან 3 თვის განმავლობაში, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
3. თუ წესით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის განახლება დაკავშირებულია შესაბამის ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანასთან, ინფორმაცია უნდა განახლდეს ცვლილების ძალაში შესვლიდან 10 დღეში.

